სსიპ ქალაქ ბათუმის N2 საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბ „პაპიონის“

ზოგადი დებულება

დებულება განსაზღვრავს სსიპ ქალაქ ბათუმის N2 საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბ „პაპიონის“ მუშაობის ძირითად პრინციპებს წინამდებარე საქმიანობის მიმართულებებს, კლუბის ლიდერის, წევრების უფლება-მოვალეობებს, ასევე სამოქალაქო კლუბის საქმიანობის სფეროსა და შედეგებს.
კლუბის ხელმძღვანელია სამოქალაქო განათლების პედაგოგი.

მუხლი 1 .კლუბის მიზნები და ამოცანები

1.1. სამოქალაქო განათლების დონის ამაღლების ხელშეწყობა.
1.2. ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.
1.3. მოსწავლეთა ინიციატივების პროექტების სახით განხორციელება.
1.4. ინტელექტუალური, სპორტული, ღონისძიებების ორგანიზება.
1.5. კონფერენციები სემინარების, ტრენინგების, კონკურსების ორგანიზება.
1.6. საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელება.

მუხლი 2. .კლუბში გაწევრიანება

2.1. კლუბის წევრობა ნებაყოფლობითია.
2.2.კლუბის წევრები შეიძლება გახდეს სკოლის VIII-XII კლასელები, მოსწავლეები რომლებიც იზიარებენ კლუბის მიზნებს.
2.3. კლუბის წევრობის მსურველმა უნდა მიმართოს კლუბს როგორც წერილობითი ასევე ელექტრონული ფორმით.

მუხლი 3. კლუბის წევრების უფლება-მოვალეობები

3.1. კლუბის წევრებს უფლება აქვთ მიიღონ ინფორმაცია კლუბის და მისი საქმიანობის თაობაზე.
3.2. კლუბის ყოველ წევრს აქვს უფლება დამოუკიდებლად დაწეროს პროექტი და მიიღოს მონაწილეობა სხვადასხვა აქტივობებში.
3.3. კლუბის ყველა წევრს აქვს უფლება მონაწილეობდეს კლუბის სამუშაო შეხვედრების მუშაობაში;
3.4. კლუბის წევრის პასუხისმგებლობაა მიიღოს მონაწილეობა კლუბის საქმიანობაში, შესრულოს დავალებები და კლუბის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.
3.5..კლუბის წევრების პასუხისმგებლობაა იმოქმედონ ორგანიზაციის სახელით კლუბთან ან სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით.
3.6. კლუბი პასუხისმგებელია მისი წევრის მხოლოდ იმ საქმიანობაზე რომელიც დაკავშირებულია კლუბის საქმიანობით.
3.7. კლუბის წევრს უფლებამოსილება უწყდება პირადი განცხადების საფუძველზე.
3.8. კლუბის წევრის პასუხისმგებლობაა დაიცვას კლუბის დებულება და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.
3.9. კლუბის წევრის პასუხისმგებლობაა აქტიური მონაწილეობა მიიღოს სამოქალაქო კლუბის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში და საკუთარი წვლილი შეიტანოს კლუბის ეფექტურ ფუნქციონირებაში.

მუხლი 4. სამოქალაქო კლუბის ლიდერი

4.1. კლუბის ლიდერი აირჩევა ფარული კენჭისყრით;
4.2. კლუბის ლიდერის უფლებამოსილება იწყება არჩევის მომენტიდან და გრძელდება შესაბამისად ახალი ლიდერის არჩევამდე;
4.3. კლუბის ლიდერი აირჩევა 1 სასწავლო წლის ვადით.
4.4. ერთი და იგივე კანდიდატი კლუბის ლიდერად შეიძლება არჩეულ იქნას ზედიზედ 2 ვადით.

მუხლი 5 .კლუბის ლიდერი საქმიანობა

5.1. წარმართავს კლუბის საქმიანობას;
5.2. ხელმძღვანელობს და უძღვება სამუშაო შეხვედრებს;
5.3. წარმოადგენს კლუბს სხვა პირებთან ურთიერთობაში;
5.4. კლუბის წევრებთან ერთად ქმნის კლუბის სამუშაო გეგმას;
5.5. თითოეული ღონისძიების დასრულების შემდეგ ამზადებს ღონისძიების შემაჯამებელ ანგარიშს;
5.6. ასრულებს სხვა ფუნქციებს საჭიროების შემთხვევაში.

მუხლი 6.სამოქალაქო კლუბის სამუშაო პერიოდი

6.1. სამოქალაქო კლუბის სამუშაო პერიოდი ემთხევა სკოლის სასწავლო წელს;
6.2. სამოქალაქო კლუბი მუშაობს ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით;
6.3. კლუბის სამუშაო საათები იწყება საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ.